

საბუღალტრო აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში I,II სემესტრი, 2017-2018 წელი (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაცია არის:

Select one:

- a. მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას
- b. მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან
- c. საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებული და მის მიმართ ანგარიშვალდებული ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება.

Question 2

გამარტივებული შესყიდვით შეიძლება განხორციელდეს:

Select one:

- a. 5000 ლარს ზევით ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა, აგრეთვე წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა.
- b. 200000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა, ასევე შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში
- c. შესყიდვა, იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა

Question 3

საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს:

Select one:

- a. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციას, ბუღალტრულ ანგარიშთა კლასიფიკაციას;
- b. ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, ხარჯების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას;
- c. ორივე პასუხი სწორია.

Question 4

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გრანტი არის:

Select one:

- a. უცხო ქვეყნების მთავრობებიდან გამოყოფილი გრძელვადიანი სესხები რომელიც გამოიყენება: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული და სხვა პროგრამების განსახორციელებლად;

- b. უსასყიდლოდ მიღებული მიზნობრივი სახსრები, რომელიც გამოიყენება: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული და სხვა პროგრამების განსახორციელებლად;
- c. მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფულადი სახსრები რომელიც გამოიყენება: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული და სხვა პროგრამების განსახორციელებლად;

Question 5

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, საქონლისა და მომსახურების კატეგორიაში გაერთიანებულია ისეთი ხარჯები, როგორცაა:

Select one:

- a. საშტატო და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება;
- b. ოფისის ხარჯები.
- c. მივლინების ხარჯები და სოციალური უზრუნველყოფა;

Question 6

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციიდან ძირითადი საშუალებები გადაეცა იგივე დონის ორგანიზაციას. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ძირითადი საშუალებების გადამცემ ორგანიზაციაში:

Select one:

- a. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
კრედიტი 2100 „ძირითადი აქტივები“
- b. დებეტი 2100 „ძირითადი აქტივები“
კრედიტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
- c. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“

Question 7

საბიუჯეტო ორგანიზაციამ 2016 წლის 1 ოქტომბერს 200000 ლარად შეიძინა აგურის შენობა. ცვეთის წლიური ნორმა შეადგენს 0,7% -ს. შენობის ნარჩენი ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

Select one:

- a. 195600 ლარი
- b. 198600 ლარი
- c. 197200 ლარი

Question 8

მარაგების შეფასებისას „ფიფო“ მეთოდის გამოყენება გულისხმობს, რომ:

Select one:

- a. მარაგების ნაშთები საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასდება პირველად შეძენილი ფასებით

- b. მატერიალური მარაგები საანგარიშო პერიოდში გამოიყენება მათი შეძენის თანმიმდევრობის გარეშე. იგულისხმება, რომ პირველად გამოიყენება ბოლოს შეძენილი მარაგები;
- c. მატერიალური მარაგები საანგარიშო პერიოდში გამოიყენება მათი შეძენის თანმიმდევრობით; მარაგების ნაშთები საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასდება ბოლოს შეძენილი ფასებით.

Question 9

საბიუჯეტო ორგანიზაციის საწყობიდან ექსპლოატაციაში გადაეცა მცირეფასიანი საგნები, რომელიც იმავდროულად ჩამოიწერა. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

Select one:

- a. დებეტი 7300 ძირითადი კაპიტალის მოხმარება კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- b. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“ კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- c. დებეტი 1450 მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ კრედიტი 7200 „საქონელი და მომსახურება“

Question 10

გადახდის განსახორციელებლად ორგანიზაცია სახელმწიფო ხაზინაში წარადგენს დოკუმენტაციას შემდეგი რიგითობით:

Select one:

- a. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- b. საგადახდო მოთხოვნის წარდგენა, წინასწარი გადახდის დამოწმება, ვალდებულების დოკუმენტის წარდგენა
- c. ვალდებულების დოკუმენტის წარდგენა, საგადახდო მოთხოვნის წარდგენა, წინასწარი გადახდის დამოწმება.

Question 11

საბიუჯეტო ორგანიზაციები ცალკეული სახის გადახდებზე ხაზინაში წარადგენენ კვარტალურ განაცხადს. კერძოდ, კვარტალური განაცხადი აიღება ისეთი გადასახდელების მიხედვით, როგორცაა:

Select one:

- a. ხელფასი და მივლინების ხარჯები;
- b. ორივე პასუხი სწორია
- c. საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები; სოციალური დახმარება;

Question 12

საბიუჯეტო ორგანიზაციამ მიმდინარე წლის აპრილში წინასწარ გადაიხადა მომდევნო წლის აპრილამდე კუთვნილი საიჯარო ქირა 12000 ლარი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება მეიჯარეზე თანხის გადარიცხვაზე:

Select one:

- a. დებეტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“ 12000
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 12000
- b. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“ 12000
კრედიტი 1430 „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ 12000
- c. დებეტი 1430 „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ 12000
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 12000

Question 13

საბიუჯეტო ორგანიზაციის მოსამსახურის ხელფასი თვეში შეადგენს 1800 ლარს. მოცემულ თვეში სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 23 დღეს. მუშაკი შვებულებაში იმყოფებოდა 15 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით (13 სამუშაო დღე). განსაზღვრეთ საშვებულებო თანხა.

Select one:

- a. 1014 ლარი
- b. 1320 ლარი
- c. 1326 ლარი

Question 14

სამშენებლო ორგანიზაციას ავანსად გადაერიცხა 850 000 ლარი. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 800 000 ლარი. ბიუჯეტში დაბრუნდა 50 000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად უკან დაბრუნებული თანხით ბიუჯეტის საკასო ხარჯების შემცირება:

Select one:

- a. დებეტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“ 50 000 ლარი
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 50 000 ლარი
- b. დებეტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 50 000 ლარი
კრედიტი 1461 „ მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ 50 000 ლარი
- c. დებეტი „ანგარიში ხაზინაში“ 50 000 ლარი
კრედიტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“ 50 000 ლარი

Question 15

საბიუჯეტო ორგანიზაციამ მიმდინარე წლის ოქტომბერში გადაიხადა მომდევნო წლის ოქტომბრამდე კუთვნილი საიჯარო ქირა 36000 ლარი. მიმდინარე წლის საკასო და ფაქტიური ხარჯები შეადგენს:

Select one:

- a. საკასო ხარჯი - 36000 ლარი. ფაქტიური ხარჯი - 9000 ლარი
- b. მიმდინარე წლის ფაქტიური ხარჯი - 9000 ლარი, მომავალი წლის საკასო ხარჯი - 27000 ლარი
- c. საკასო ხარჯი - 36000 ლარი. ფაქტიური ხარჯი - 36000 ლარი.

Question 16

მოსამსახურე მივლინებული იქნა ქვეყნის შიგნით 7 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით. სადღეღამისო ნორმა (დღიური) შეადგენს 15 ლარს. სასტუმროს ხარჯები ერთ დღე-ღამეში - 80 ლარს. ტრანსპორტის ხარჯებმა სამგზავრო ბილეთის მიხედვით შეადგინა - 40 ლარი. მთლიანი სამივლინებო ხარჯები შეადგენს:

Select one:

- a. 775 ლარი
- b. 895 ლარი
- c. 815 ლარი

Question 17

საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ დარიცხულმა ხელფასებმა შეადგინა 50000 ლარი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ხელფასის დარიცხვაზე.

Select one:

- a. დებეტი 7110 - „ხელფასები“ 50000
კრედიტი 3251 „გადასახდელი ხელფასები“ 50000
- b. დებეტი 1430 „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“ 50000
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 50000
- c. დებეტი 3251 „გადასახდელი ხელფასები“ 50000
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 50000

Question 18

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საოპერაციო შემოსავლების აღიარება ხდება:

Select one:

- a. საკასო მეთოდით, რომელიც გულისხმობს შემოსავლებს აღიარებას ამ შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების მომენტში, მიუხედავად იმისა თანხა მიღებულია თუ არა;
- b. დარიცხვის მეთოდით, რომელიც გულისხმობს შემოსავლების აღიარებას ამ შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების მომენტში, მიუხედავად იმისა თანხა მიღებულია თუ არა ან საკასო მეთოდით, რომელიც გულისხმობს შემოსავლებს აღიარებას თანხის მიღების შემდეგ
- c. დარიცხვის მეთოდით, რომელიც გულისხმობს შემოსავლების აღიარებას თანხის მიღების შემდეგ;

Question 19

საბიუჯეტო ორგანიზაციის ძირითადი საშუალებები, რომელთა ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 100000 ლარს, გადაფასებული იქნა 20%-ით. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ფასმატების თანხაზე:

Select one:

- a. დებეტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“
კრედიტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
- b. დებეტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
კრედიტი 8100 „არასაოპერაციო შემოსავლები“

- c. დებეტი 8100 „არასაოპერაციო შემოსავლები“
კრედიტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“

Question 20

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა შეიძინა 10000 აშშ დოლარი. თავისუფალი გასაცვლელი კურსი $1\$ = 2,35$ ლარი; ოფიციალური გასაცვლელი კურსი $1\$ = 2,30$ ლარი. სავალუტო ოპერაციის შედეგად საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა მიიღო:

Select one:

- a. „არასაოპერაციო ხარჯები“ რომლითაც შემცირდება წმინდა ღირებულება;
- b. „არასაოპერაციო შემოსავლები“, რომლითაც გაიზრდება წმინდა ღირებულება;
- c. „არასაოპერაციო შემოსავლები“ და „არასაოპერაციო ხარჯები“ წმინდა ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს.

Question 21

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ 200 000 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა 150 000 ლარი, მათ შორის ნორმის ზევით გაწეულმა ხარჯებმა -5 000 ლარი. საანგარიშო წლის მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთის პირობებში არის:

Select one:

- a. 8250 ლარი,
- b. 8000 ლარი
- c. 7500 ლარი,

Question 22

„წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადის“ ბუღალტრულ ანგარიშზე აღირიცხება:

Select one:

- a. საანგარიშო წლის განმავლობაში გადახდილი გასული წლის მოგების გადასახადის თანხები.
- b. მოგების გადასახადის მომავალი გადასახდელები;
- c. მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები, რომლებიც გაიანგარიშება გასული წლის მონაცემების საფუძველზე;

Question 23

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია უზრუნველყოს:

Select one:

- a. აღნიშნულის განხორციელება დამოკიდებულია სააღრიცხვო პოლიტიკაზე
- b. ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების გაერთიანება;
- c. ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების გამიჯვნა;

Question 24

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბიუჯეტში გადაირიცხება:

Select one:

- a. მიმწოდებლებზე გადახდილი დღგ-ს თანხა;
- b. მომსახურებიდან მიღებული დღგ-ს მთლიანი თანხა;
- c. მიღებულ და გადახდილ დღგ-ს თანხებს შორის სხვაობა.

Question 25

საანგარიშო წლის დასაწყისში საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბალანსზე ირიცხებოდა ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული 50000 ლარის ძირითადი საშუალებები, ხოლო საანგარიშო წლის ბოლოს 55000 ლარის ძირითადი საშუალებები. ქონების გადასახადის განაკვეთი 1 პროცენტია. ქონების გადასახადის წლიური თანხა შეადგენს:

Select one:

- a. 500 ლარი
- b. 550 ლარი
- c. 525 ლარი

Question 26

ფინანსური ანგარიშგება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

Select one:

- a. შემოსავლები და ხარჯები.
- b. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი); ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ
- c. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი;

Question 27

სადრიცხო პოლიტიკა არის:

Select one:

- a. ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით დადგენილი წესების ერთობლიობა
- b. ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა
- c. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

Question 28

ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულება არის:

Select one:

- a. წარსული ეკონომიკური მოვლენის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება, რომლის დაფარვა გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალში განივთებული რესურსების გადინებას ერთეულიდან

- b. წარსული მოვლენის შედეგად წარმოქმნილი რესურსი (აქტივი), რომლის დაფარვა გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის სახით ერთეულის რესურსების გადინებას
- c. მიმდინარე მოვლენების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება, რომლის დაფარვა გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის სახით ერთეულის რესურსების გადინებას

Question 29

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

Select one:

- a. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ; ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
- b. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი
- c. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება

Question 30

წმინდა ღირებულება არის:

Select one:

- a. ორგანიზაციის საბიუჯეტო სახსრებით შეძენილ აქტივებსა და საბიუჯეტო სახსრებით გადასახდელ ვალდებულებებს შორის სხვაობა
- b. აქტივებისა და ვალდებულებების ჯამი
- c. ვალდებულებებს მინუს აქტივები